1179-1184 CONSTRUCTION- JURIDICAL INSCRIPTION OF AMIREJIBI KAVTAR KACHIBAISDZES FROM PHITARETI WITH MENTIONING GEORGIAN KINGS, GIORGI III AND QUEEN TAMAR

[1179-1184 წწ.] სააღმშენებლო წარწერა-საბუთი ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფაისძისა ფიტარეთის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან ერთიანი საქართველოს მეფეების - გიორგი III-სა და თამარის მოხსენიებით

TAMAZ GOGOLADZE
Doctor of History
Associate Professor of Caucasus University
P. Saakadze #1, Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0001-8501-1558
tagogoladze@cu.edu.ge
+995 555070106

Abstract

The construction-juridical inscription of Amirejib Kavtar Kachibaisdze from Fitareti Church of the 2nd half of the 12th century is an excellent example of Georgian writing according to its content, outline of graphemes and artistic decoration. The inscription, which is interesting to us, provides us with the most valuable information about the co-reign of the kings of united Georgia – the George III and the Queen Tamar, as well as the epigraphic monument depicts the social, administrative and state institutions of the time of the King George. The Georgian epigraphic monument describes in detail the domestic and foreign situation of the country.

The purpose of our research is to specify the text of the construction inscription of Fitareti located in Kvemo Kartli and, based on this, to give a new dating of the renovation of the architectural monument.

Keywords: Epigraphy; Inscription; Kvemo Kartli;

თამაზ გოგოლაძე
ისტორიის დოქტორი
კავკასიის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, თბილისი, პ. საკაძის #1
ORCID: 0000-0001-8501-1558
tagogoladze@cu.edu.ge
+995 555070106

აბსტრაქტი

XII საუკუნის II ნახევრის ფიტარეთის ეკლესიის ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფაისძის სააღმშენებლო წარწერა-საბუთი თავისი შინაარსის, გრაფემების მოხაზულობისა და მხატვრული გაფორმების მიხედვით ქართული დამწერლობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესო წარწერა გვაწვდის უძვირფასეს ცნობებს ერთიანი საქართველოს მეფეების - გიორგი III-სა და თამარის თანამოსაყდრეობის შესახებ, ასევე

ეპიგრაფიკულ ძეგლში ასახულია მეფე გიორგის დროის სოციალური, ადმინისტრაციული და სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი დეტალურად ასახავს ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია ქვემო ქართლში მდებარე ფიტარეთის სააღმშენებლო წარწერის ტექსტის დაზუსტება და ამის საფუძველზე, ხუროთმოძღვრული ძეგლის განახლების ახლებური დათარიღება.

საკვანძო სიტყვები: ეპიგრაფიკა; წარწერა; ქვემო ქართლი;

შესავალი

XII საუკუნის II ნახევრის ფიტარეთის ეკლესიის ქავთარ ქაჯიფაისძის სააღმშენებლო წარწერა-საბუთი თავისი შინაარსის, გრაფემების მოხაზულობისა და მხატვრული გაფორმების მიხედვით ქართული დამწერლობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესო წარწერა გვაწვდის უძვირფასეს ცნობებს ერთიანი საქართველოს მეფეების - გიორგი III-სა და თამარის თანამესაყდრეობის შესახებ, ასევე ეპიგრაფიკულ ძეგლში ასახულია მეფე გიორგის დროის სოციალური, ადმინისტრაციული და სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი დეტალურად ასახავს ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია ქვემო ქართლში მდებარე ფიტარეთის სააღმშენებლო წარწერის ტექსტის დაზუსტება და ამის საფუძველზე, ხუროთმოძღვრული ძეგლის განახლების ახლებური დათარიღება.

მეთოდები

ფიტარეთის სააღმშენებლო წარწერის კვლევა ემყარება შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდებს.

მსჯელობა და შედეგები

XII საუკუნის II ნახევრის გამორჩეული ქართველი მონარქის, გიორგი III-ის სახელს უკავშირდება ქვემო ქართლის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი.

ქვემო ქართლის წარწერებს მეფეთ-მეფე გიორგის მოხსენიებით ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე ერთიანი საქართველოს მეფე ლაშა-გიორგის უკავშირებდნენ და, შესაბამისად, მათ თარიღს გიორგი-ლაშას ზეობის – 1210-1222 წლებით განსაზღვრავდნენ.

1900 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსამსახურე მეტრეველის დახმარებით ქვემო ქართლში მდებარე სათხის წმიდა კვირიკეს ეკლესიის (სურ. 1) კანკელის ფრაგმენტებს თავი მოუყარა და თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. კანკელის ზედა ნაწილში ამოღარულია სინგურით შესრულებული ასომთავრული წარწერა მეფეთ-მეფეთ გიორგის მოხსენიებით. თუმცა მეცნიერი იქვე დასძენს, რომ წარწერას აკლდა ბოლო ნაწილი და იმედს გამოთქვამდა, შესაძლოა, მომავალმა არქეოლოგიურმა კვლევებმა ეს ნაწილი გამოაჩინოსო. პატივცემულ მეცნიერს თავის სამეცნიერო ნაშრომში მოჰყავს კანკელის ტექსტი და შავ-თეთრი ფოტოები.

მართლაც, 2018 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოვლინდა კანკელის ბოლო ფრაგმენტი, რომელშიც მითითებულია ქრონიკონი ტჟა, რაც 1171 წელს შეესაბამება. სათხის კანკელის ახლადმიკვლეული ბოლო ნაწილი სოციალურ ქსელში განათავსა სააგენტოს იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა – ნიკოლოზ ანთიძემ. ჩვენ ამ დროისათვის სწორედ სათხის კანკელის წარწერაზე ვმუშაობდით. აქედან გამომდინარე, არ

გაგვჭირვებია ახლადგამოვლენილი კანკელის ფილის იდენტიფიცირება სათხის კანკელთან (სურ. 2). გარდა ამისა, წავიკითხეთ წარწერის ტექსტი, სადაც, როგორც მოგახსენეთ, ქრონიკონი ტჟა იკითხება. თავდაპირველად წარწერის თარიღს ვკითხულობდით როგორც ტჟ. თუმცა ჩემმა უფროსმა კოლეგამ, ისტორიკოსმა თემო ჯოჯუამ დააზუსტა წარწერის თარიღი და მან წარწერაში ქრონიკონი ტჟა ანუ 1171 წელი ამოიკითხა. ამ აღმოჩენამ ქვემო ქართლის მთელი რიგი ეკლესიებისა და კანკელების გადათარიღების საკითხი დააყენა, რადგანაც ქვემო ქართლის მთელი რიგი ეკლესიების კანკელები (მაგ. პირღებულის მონასტრის და სხვ.) ორგანულ კავშირს ამჟღავნებენ სათხის კანკელთან.

რადგან სათხის ტაძრის ფასადებზე დღემდეა შემორჩენილია X-XI საუკუნეების ქართული ლაპიდარული წარწერები, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მეფე გიორგი III-ის ზეობის დროს ეკლესია განუახლებიათ, რასაც მოწმობს კანკელის ბოლო ფრაგმენტში დასმული თარიღი – 1171 წელი. დღეისათვის სათხის კანკელი და მისი ახლადგამოვლენილი ფრაგმენტი შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ინახება. აქ პირველ რიგში, წავიკითხეთ წარწერის ტექსტი, გადმოვიღეთ წარწერის პალეოგრაფიული ასლი და გადავიღეთ მისი მაღალი გარჩევადობის ფოტოები. ჩვენი წაკითხვით წარწერა შემდეგნაირად იკითხება:

„ქ. ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრ)თ(ი)ს(აჲ)თა, მ(ა)მ(ი)სა და ძ(ი)]|სა და ს(უ)ლ(ი)სა წ(მიდისა)ჲთა და შ(ე)წ(ე)ვნით[ა] ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბლის(ა)ჲთა და წ(მიდ)ისა კ(ჯრიკე)სითა, | მე, გლ(ა)ხ(ა)კი ი(ოან)ე, მ(ამაჲ) (?) ღირს მყო ღ(მერთმა)ნ და აღვ(ა)შ(ე)ნნ(ე) კ{ა}ნკ{ე}ლნი ესე. დაამყ(ა)რ(ე)ნ ღ(მერთმა)ნ მ(ე)ფ(ე)თა მ(ე)ფისა გ(იორგ)ისთ(ჯ)ს და ს(ა)ჯსრ(ა)დ ფ(რია)დ ც(ოდ)ვ(ი)ლისა ს(ულ)ისა ჩ(ემ)ისა. მოიჯს{ე}ნე, უ(ფალ)ო, [ღ](მერთ)ო, ს(უ)ლი მ(ა)მ|ისა ჩ(ემ)ისა...[ქ(ო)რ(ო)ნ(ი)]კ(ო)ნი იყო ტჟა“ [გოგოლაძე, 2023: 402-403].[1]

ამ ახლადგამოვლენილმა წარწერის ფრაგმენტმა ქვემო ქართლში არსებული სხვა ტაძრების, მათ შორის, ფიტარეთის ეკლესიის (სურ. 3) გადათარიღების საკითხიც დააყენა, რადგანაც მის სააღმშენებლო წარწერაშიც მეფეთ მეფე გიორგი იხსენიება.

თავდაპირველად გთავაზობთ წარწერის არქეოგრაფიულ აღწერილობას, პალეოგრაფიულ პირს (სურ. 4), გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით, მის ჩვენეულ წაკითხვასა და ფერად ფოტოს (სურ. 5).

წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთი კარიბჭის შიგნით, აღმოსავლეთ კედელზე; წარწერის ტექსტი ექვს ფილაზეა გადანაწილებული, მიწის დონიდან 235 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომები: 80 X 133 სმ.; წარწერის ფართობი: 75 X 118 სმ.; 11 სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: Ე (I სტრიქონის II გრაფემა) – 5,7 X 2,2 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: Ო (XI სტრიქონის XIII გრაფემა) – 1 X 1 სმ.; ქარაგმის ნიშნები: მოკლე კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი, ორწერტილი ან სამწერტილი რამდენიმე სიტყვის შემდეგ; გრაფემათა ღარებში ამოსმულია წითელი ფერის საწერ-საღებავი; წარწერის ტექსტში რიგ შემთხვევებში გრაფემა Ⴑ (ი) გადმოცემულია ჲ-ს (Ო) მეშვეობით; ხოლო გრაფემა ო, რიგ შემთხვევებში, Ⴓ-ს (უ) საშუალებით არის გადმოცემული; წარწერისათვის დამახასიათებელია შეწიაღებისა და ლიგატურის შემთხვევები.

დაზიანება: გადარეცხვისა და გამოფიტვისგან წარწერის მეორე და მესამე სტრიქონის რამდენიმე გრაფემა ფრაგმენტულად ჩანს ან საერთოდ არ განირჩევა. გარდა ამისა,

[1] აღნიშვნის ღირსია, რომ სათხის კანკელის ბოლო თარიღის შემცველი ფრაგმენტის გარდა დამატებით კიდევ გამოვლინდა ამავე კანკელის კიდევ სხვა წარწერიანი ფრაგმენტი, რომლის ტექსტს კითხულობს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – გიორგი გაგოშიძე. აღნიშნული ინფორმაცია მეცნიერმა პირად საუბარში გაგვიზიარა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

წარწერის მერვე და მეცხრე სტრიქონების დასაწყისი გრაფემები დაკარგულია ან ფრაგმენტულად განირჩევა. წარწერის ტექსტი აღდგენილია კონტექსტისა და წინა გამოცემების მიხედვით.

1. -ᲠᲜᲾᲔᲪᲬᲠᲨ ᲨᲨᲜ-ᲬᲨ ᲫᲜᲜᲬ- ᲨᲨ ᲜᲬᲾᲨ ᲩᲾᲬᲨ ᲧᲩᲮᲜᲬᲨ Ⲧ- ᲨᲔᲾᲬ ᲧᲨ
2. -ᲠᲜᲨ Ⲟ[ᎫᲜᲔᲨ- -ᲠᲬᲨᲜᲬ- ᲨᲨ ᲩᲾᲬᲨ ᲰᲜᲨ ᲜᲾᲜᲨᲬᲾᲜ ᲜᲬᲜᲨ ᲘᲧᲩᲜᲾ: ᲨᲾᲨ ⲞᲾᲨ ᲜᲾᲜᲨ ᲘᲧᲰᲜ
3. ᲬᲘᲨᲜᲨᲜ-ᲠᲬᲧᲬᲨ ᲘᲜᲾᲬᲨ ᲨᲘ ᲨᲬᲰᲨ ᲨᲬᲘᲨᲬᲧᲘ ᲬᲨᲰᲘᲨᲘ ᲬᲨᲰᲨᲨᲧᲰᲧᲬᲾᲜᲨ
4. ᲫᲬᲾᲰᲨ- ᲨᲾᲨᲬ ᲨᲾᲜᲨᲬᲾ ᲬᲨᲧᲜᲬᲨ ᲨᲨᲜ ᲨᲜᲜᲔᲰᲜᲨ ᲨᲨᲜ ᲨᲜᲜᲔᲰᲜᲨ ᲨᲨ[-] ᲜᲧᲨᲰᲜᲨ ᲨᲨᲨᲨᲾᲜ ⲞᲾᲨᲨ ᲨᲨᲰᲨᲨ

ᲨᲰ

5. ᲬᲨᲜ ᲬᲾᲜᲨᲜᲰ ᲰᲨᲨᲨ ᲨᲨᲨᲨᲨᲨ: ᲨᲨᲨᲨᲨᲨ

თევდორეწმინდა უყიდია და შეუწირავს მონასტრისათვის. მეცნიერმა ყურადღება მიაქცია წარწერის VII სტრიქონში ამოღარულ შემდეგ სიტყვებს: „მათვე ღ(მრ)თ(ი)ვ-ს(ა)ნ(ა)ტრ(ე)ლთა დიდთა მ(ე)ფ(ე)თა | [შ{ეა}წ{იე}]ნ“ და წარწერის ეს ნაწილი ლაშა გიორგისა და თამარის თანამეფობის წლებით, ანუ XIII საუკუნის დასაწყისით დაათარიღა.[2]

ჩვენ სრულიად წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ თამარის სოცოცხლეში ჯერ ლაშა-გიორგი მოეხსენებინათ და მერე თამარი, ისიც არაპირდაპირი ფორმით. მაშინ როცა ამავე რეგიონის წარწერებში ჯერ თამარი იხსენიება, მხოლოდ ამის შემდეგ – მისი რიგით მეორე მეუღლე და ლაშა-გიორგის მამა, დავით სოსლანი (მაგ; ლიპარიტისუბნის სააღმშენებლო წარწერა და სხვ.). წარწერის ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენ სულ სხვა დასკვნისაკენ გვიბიძგებს. სრულიად ვეთანხმებით ვაჟა კიკნაძეს, რომ წარწერის ამ ნაწილში მეფეები მართლაც მრავლობით ფორმაში იხსენიებიან, თუმცა, მისგან განსხვავებით, ჩვენ ვფიქრობთ, აქ იგულისხმება მეფე გიორგი III და მისი ასული თამარი. თუ ჩვენი დასკვნა მართEებულია, მაშინ გამოდის, რომ წარწერა შესრულებულა გიორგი III-ისა და თამარის თანამოსაყდრეობის დროს, რაც უფრო ავიწროვებს წარწერის თარიღს. ქართულ წყაროთა ცნობებით, გიორგი III-მ თამარი 1179 წელს თავის თანამოსაყდრედ გამოაცხადა [Мачабели, 1978: 251-256]. ვითვალისწინებთ რა ამ თარიღს და გიორგი III-ის გარდაცვალების წელს (1184), წარწერის თარიღს 1179-1184 წლებით განვსაზღვრავთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფიტარეთის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია 1179-1184 წლებში აშენდა. ტაძრის პროპორციებიდან გამომდინარე, მისი მშენებლობა გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო. ტაძარს კარიბჭე მისი დასრულების შემდეგ მიადგეს და შესაბამისად, სააღმშენებლო წარწერაც მაშინ ამოღარეს მის აღმოსავლეთ კედელზე. მხედველობაში ვიღებთ წარწერის ტექსტში საგანგებოდ ხაზგასმულ ფაქტს, რომ ტაძრის ქტიტორს – ამირე-ჯიბ ქავთარ ქაჯიფაისძეს ეკლესია ლაშქრობის დროს მოპოვებული სახსრებით აუგია, ამას- თანავე, ვითვალისწინებთ წყაროთა ცნობებს, რომ გიორგი III აქტიურ სამხედრო კამპანიებს ყმადნაფიცი ქვეყნების შემომტკიცების მიზნით 1160-იანი წლებიდან აწარმოებდა. ამიტომ ვვარაუდობ, რომ ამირეჯიბი ქავთარ ქაჯიფაისძე ფიტარეთის ღმრთისმშობლის ტაძრის აგებას ან განახლებას XII საუკუნის 60-70-იან წლებში შეძლებდა.

აქედან გამომდინარე, ფიტარეთის ტაძრის ქტიტორის – ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფაისძის მოღვაწეობის ქრონოლოგია XII საუკუნის II ნახევრითა და XIII საუკუნის დასაწყისით უნდა განისაზღვროს.[3] როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების საქართველოში, ერთიანი მონარქიის დროს ამირეჯიბი მაღალი რანგის მოხელეს, მანდატურთუხუცესის თანაშემწესა და ეჯიბთა უფროსს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ გიორგი III-ის დროს სამეფო კარზე ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის სახელოები ორბელთა ფეოდალური სახლის ცნობილ წარმომადგენელს – იოვანე ორბელს ეკავა. სწორედ მის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო ფიტარეთის ტაძრის მაშენებელი – ამირეჯიბი ქავთარ ქაჯიფაისძე. თუ გავითვალისწინებთ ჩვენ მიერ ტაძრის მშენებლობის სავარაუდო თარიღს – 1179-1184 წლებს, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ ამირეჯიბმა ქავთარმა 1177/1178 წლების ცნობილ ორბელთა გამოსვლის დროს მეფის მხარე დაიჭირა და მეფის მომხრეთა

[2] https://www.youtube.com/watch?v=jT3YFwjQEGc

[3] ქალბატონი დარეჯან კლდიაშვილიც ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფასძეს XIV საუკუნის მოღვაწედ თვლის და შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო წარწერის ქრონოლოგიასაც გიორგი V ბრწყინვალის ეპოქას უკავ- შირებს. აქედან გამომდინარე, ამირეჯიბთა ქრონოლოგიურ რიგში ამირეჯიბი ქავთარი მოხსენიებულია XIII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ამირეჯიბების – ბეშქენ გურკლელი მახუნჯაგის ძის, ბეღე ქობულისძისა და ნავროზ აბაზასძის შემდგომ. ჩვენი კვლევის თანახმად, პირველ რიგში უნდა იყოს დასახელებული გიორგი III-ის ამირეჯიბი ქავთარი და შემდგომ ზემოთდასახელებული პირები (კლდიაშვილი, 2017: 109-110).

ბანაკში იმყოფებოდა. თუმცა არც ის არის გამორიცხული, თავდაპირველად სხვა დიდგვაროვანთა მსგავსად, მეამბოხეთა მხარეზე ყოფილიყო.

არ არის გამორიცხული, სწორედ ქავთარ ქაჯიფაისძის სახელს უკავშირდებოდეს სეტის ეკლესიის სურა და მის პირზე შესრულებული ასომთავრული წარწერა. სანამ უშუალოდ წარწერის ტექსტს წარმოვადგენთ, გთავაზობთ მისი შესწავლის ისტორიას. სეტის ეკლესიაში არსებული სურა ივანე ბართოლომეის, დიმიტრი ბაქრაძეს, პრასკოვია უვაროვასა და ალექ- სანდრე ხახანაშვილს უნახავთ. თუმცა მისი წარწერა პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა შენიშნა და ოთხ ფირფიტაზე გადმოიტანა. ექვთიმე თაყაიშვილს მოაქვს წარწერის გადმონაწერი მხედრული შრიფტით. მისეული წაკითხვა ასეთია:

„:ქ: ღ˜თნ: უბდ˜ნრნ: ღ˜თსა: სწორსა: მ˜ფთა: მ˜ფსა: გ˜ის: მ˜წსა: ამ˜რსა: ქვთ˜რსგნ “

ღმერთმან უბედნიერენ ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფესა გიორგის მიწასა ამირასა ქავთა- რისაგან“ [თაყაიშვილი, 1937: 276].

შემდგომი მეცნიერი, ვინც ეს სურა და მასზე შესრულებული წარწერა მოინახულა, სერგი მაკალათია იყო. მან წარწერა ასე წაიკითხა:

„ქ: ღ˜თნ: უბ˜დრ: ღ˜თსა: სწორსა მფთა მფსა გის: მწსა: ამ˜რსა ქვთრსგნ“ [მაკალათია, 1919: 90].

რაც შეეხება წარწერის ტექსტში მოხსენიებულ მეფეთა მეფე გიორგისა და ამირა ქავთა- რის (?) იდენტიფიკაციას, მას პირველად დიმიტრი ბაქრაძე შეეხო და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს სურა მეფე გიორგის საკუთრება ყოფილა. თუმცა ისტორიკოსი არ აკონკრეტებს, თუ რომელ გიორგი მეფეს გულისხმობდა.

დიმიტრი ბაქრაძისაგან განსხვავებით, ექვთიმე თაყაიშვილმა მეფეთა მეფე გიორგი ერთიან საქართველოს მეფე გიორგი III-სთან გააიგივა და წარწერის შესრულების ქრონოლოგია მისი ზეობით (1156-1184) განსაზღვრა. სახელ ქავთართან დაკავშირებით მეცნიერი იმოწმებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ მოხსენიებულ ქავთარ მეჯინიბეთუხუცესს. ამ ცნობის საფუძველზე იგი გამოთქვამს ფრთხილ ვარაუდს, რომ შესაძლოა ნარატიულ წყაროში მოხსენიებული ქავთარ მეჯინიბეთუხუცესი გახდა ქართლისა ან თბილისის ამირა.

ექვთიმე თაყაიშვილის მსგავსად, სერგი მაკალათიაც აქ მოხსენიებულ პირებს მეფეთა მეფე გიორგისა და ამირა ქავთარს გიორგი III-სთან და და ორბელთა გვარის წარმომადგე- ნელ ქავთარ ამირეჯიბთან აიგივებს. თუმცა ექვთიმესაგან განსხვავებით, მხედველობაში იღებს მნიშვნელოვან ფაქტს, რომ 1177 წელს გიორგი III ორბელები სასტიკად დასაჯა. იგი კიდევ უფრო ავიწროვებს სურის წარწერის ექვთიმესეულ ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოს და მიიჩნევს, რომ ქავთარს იგი გიორგი მეფისათვის 1177 წლის წინარე ხანებში უნდა მიერთმია, უფრო ზუსტად, 1173-1175 წლებში. სახელ ქავთართან დაკავშირებით იგი იხსენებს ფიტარეთის ეკლესიის მაშენებელ ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფაისძეს, თუმცა ითვალისწინებს რა წარწერის მარი ბროსესეულ დათარიღებას – 1318-1346 წლებს, გამორიცხავს სეტის სურის წარწერაში მის მოხსენიებას [მაკალათია, 1919: 90-93].

სერგი მაკალათიას აზრი გაიზიარა ხელოვნებათმცოდნე კიტი მაჩაბელმა, თუმცა სურა რატომღაც 1173-1175 წლების ნაცვლად XII-XIII საუკუნეების მიჯნით დაათარიღა ვალერი სილოგავა სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ივანე ორბელს შვილი, სახელად ქავთარი არ ჰყავდა. წყაროების მიხედვით, მისი შვილი იყო სუმბატი, რომელიც ორბელთა სხვა ოჯახის წევრების მსგავსად 1177 წლის აჯანყებას შეეწირა. აქედან გამომდინარე, მეცნიერი გა- მოთქვამს მოსაზრებას, რომ სურის წარწერაში მოხსენიებული ამირა ქავთარი „აბულეთისძეთა წარმომადგენელი უნდა იყოს“ [სილოგავა, 1994: 49].

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ წარწერაში მოხსენიებული მეფეთა მეფე გიორგი ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი III უნდა იყოს. თუმცა ვერ დავეთანხმებით მათ „ამირა ქავთარის“ ნაწილში. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ წარწერის გადმონაწერიდან ჩვენ-თვის საინტერესო ფრაგმენტს: „მ˜წსა: ამ˜რსა: ქვთ˜რსგნ“. წარწერის

ეს გადმონაწერი თითქოს იქითკენ გვიბიძგებს, რომ ქავთარი ფლობდა ამირას სახელოს. თუმცა აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გიორგი III-ის ზეობის დროს ამირეჯიბის სახელოს მფლობელი, ფიტარეთის ტაძრის მაშენებელი – ქავთარ ქაჯიფაისძე. ჩვენ, ერთი მხრივ, ვითვალისწინებთ ფიტარეთის წარწერის ახლებურ წაკითხვასა და მის დათარიღებას 1179-1184 წლებით და ვფიქრობთ, რომ სურის დამკვეთი იყო არა ქავთარ ორბელი ან აბულეთისძე, არამედ გიორგი III-ის ამირეჯიბი – ქავთარი. სწორედ მისი ინიციატივით დამზადდა ეს სურა საგანგებოდ საქართველოს მეფე გიორგისათვის. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ორი გარემოება: I „ამრსა“ თავისუფლად შეიძლება გაიხსნას როგორც სახელო ამირეჯიბი; სურის დამკვეთი – ამირეჯიბი ქავთარი თავის სიუზერენებს (გიორგი III-სა და მის თანამოსაყდრეს თამარს – თ.გ.) ფიტარეთის ეკლესიის საღმშენებლო წარწერაში „ღმრთის სანატრელთა“ ეპითეტით „მათვე ღ(მრ)თ(ი)ვ-ს(ა)ნ(ა)ტრ(ე)ლთა დიდთა მ(ე)ფ(ე)თა“ ამკობს. თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, გამოდის, რომ ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფაისძეს თავისი ერთგულების ნიშნად სურა მიურთმევია გიორგი III-სათვის. სურის წარწერა, ერთი მხრივ, თვალნათლივ გვიჩვენებს ქავთარის ერთგულებასა და მოწიწებას გიორგი მეფისადმი, ხოლო მეორე მხრივ ამტკიცებს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ფიტარეთის ეკლესიის საღმშენებლო წარწერაში „მათვე ღ(მრ)თ(ი)ვ-ს(ა)ნ(ა)ტრ(ე)ლთა დიდთა მ(ე)ფ(ე)თა“ – გულისხმობს გიორგი III-სა და მის ასულს, თანამოსაყდრე თამარს. აქედან გამომდინარე, წარწერის შესრულების დროს 1157-1184 წლებით განვსაზღვრავთ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ბახტაძე, მ. (2012). XI-XIV საუკუნეებში ქართველ მეფეთა ზეობის წლების ათვლის შესახებ, *შრომები,* ტ. V, თბილისი: მერიდიანი.

გოგოლაძე, თ. (2023). *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი (თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი),* წარწერების ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თამაზ გოგოლაძემ, თბილისი: ნათლისმცემელი.

თაყაიშვილი, ექ. (1937). *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს,* პარიზი.

კლდიაშვილი, დ. (2017). ამირეჯიბი, *ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში), (ენციკლოპედიური ლექსიკონი*), თბილისი: სეზანი.

მაკალათია, ს. (1919). სეტის 12 ს. ვერცხლის სურა, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX,* ტფილისი.

სილოგავა, ვ. (1994). *ბეთანიის წარწერები,* თბილისი: მეცნიერება.

REFERENCES

bakht'adze, m. (2012). XI-XIV sauk'uneebshi kartvel mepeta zeobis ts'lebis atvlis shesakheb. *[Reckoning of Regnal Years for the Gerogian Kings in the 11th -14th Centuries]*. shromebi, t'. V, Tbilisi: Publishing House "Meridiani".

gogoladze, t. (2023). kvemo kartlis ep'igrapik'uli k'orp'usi (tetrits'qaro, marneuli, bolnisi), ts'arts'erebis t'ekst'ebi gamosatsemad moamzada, gamok'vleva da sadzieblebi daurto tamaz gogoladzem, *[Epigraphic Corpus of Kvemo Kartli (Tetritskaro, Marneuli, Bolnisi)]*, Tbilisi: Publishing House "Natlismtsemeli".

taqaishvili, ek. (1937). arkeologiuri eksp'editsia lechkhum-svanetshi 1910 ts'els. *[Archaeological expedition in Lechkhum-Svaneti in 1910]*. p'arizi.

k'ldiashvili, d. (2017). amirejibi, tsent'raluri da adgilobrivi samokheleo ts'qoba shua sauk'uneebis sakartveloshi), (entsik'lop'ediuri leksik'oni). *[Central and local official order in medieval Georgia : Encyclopedic dictionary]*. Tbilisi: Publishing House "Sezani".

mak'alatia, s. (1919). set'is 12 s. vertskhlis sura. *[12th century silver Sura of Seth]*. t'pilisis universit'et'is moambe, IX, t'p.).

silogava, v, (1994). betaniis ts'arts'erebi. *[The Inscriptions of Betania].* Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

Мачабели, К, (1978). *О грузинской светской чекание, сб. Средневековое искусство Русь. Грузи* Москва.

სურ. 1 სათხის წმიდა კვირიკეს ეკლესია

Fig. 1 Satkhe St. Kvirike Church

სურ. 2 სათხის წმიდა კვირიკეს ეკლესიის კანკელის თარიღიანი ფრაგმენტი

Fig. 2 Dated part of the iconostasis of Satkhe St. Kvirike Church of .t. Kvirike Church



სურ. 3 1179-1184 წწ. ფიტარეთის ეკლესია

Fig. 3 Phitareti Monastery 1179-1184

Fig.4 სურ.4[1179-1184 წწ.] სააღმშენებლო წარწერა-
საბუთი ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფაისძისა
ფიტარეთის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან ერთიანი საქართველოს
მეფეების - გიორგი III-სა და თამარის მოხსენიებით (პალეოგრაფიული პირი)



Fig. 5 სურ. 5 [1179-1184 წწ.] სააღმშენებლო წარწერა-
საბუთი ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფაისძისა ფიტარეთის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან
ერთიანი საქართველოს მეფეების - გიორგი III-სა და თამარის მოხსენიებით